ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3698489

ნომერი: AR1552396

თარიღი : 26.10.2017

გაცემის თარიღი : 22.11.2017

გაცნობის თარიღი : 22.11.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 157 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლადო ჭანტურია პ/ნ 01024032026
- თბილისი, მერი დავითაშვილის ქუჩა 27

ორგანიზაცია:
- შპს ედესი ჯგუფი კოდი: 203868635

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- კულტურის და დასვენების ობიექტები
  - საგამოფენო დარბაზი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის

24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი2017 წლის 26 ოქტომბრის NAR1552396 განცხადება, რომლითაცითხოვთ ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა #157-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.003.098) საგამოფენო დარბაზის რეკონსტრუქციის მიზნით სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემას.

პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 02 ნოემბრის N44 სხდომაზე, რომლის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 09 ნოემბრის N1-2537 ბრძანებით გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა #157-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.02.003.098) საგამოფენო დარბაზის რეკონსტრუქციის მიზნით (იხ. დანართი).

ვინაიდან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის ერთ–ერთ საჭირო მასალას წარმოადგენს საინფორმაციო დაფა, საკითხის განსახილველად საჭიროა დამატებით წარმოდგენილ იქნეს თვალსაჩინოადგილას განთავსებული მინიმუმ A2 გაბარიტების საინფორმაციო დაფა, ფოტოები გადაღებულიახლო და შორი მანძილიდან, რათა შესაძლებელი იყოს ინფორმაციის აღქმა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემულიკანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 26 ოქტომბრის NAR1552396 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.